

მარნეულის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის ექვსი თვის შესრულების შესახებ ინფორმაცია

მარნეულის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის შემოსულობების გეგმა (გადასახადები, გრანტები, სხვა შემოსავლები, არაფინანსური აქტივების კლება და 2019 წლის 1 იანვრის მდგომარეობით ნაშთი) განსაზღვრულია 42,319,134.76 ლარით. აქედან: ადგილობრივი სახსრების გეგმა 2019 წლის 1 იანვრის მდგომარეობით ნაშთის გათვალისწინებით შეადგენს 32,919,360.36 ლარს, ხოლო დარჩენილი 9,399,774.40 ლარი შეადგენს სხვადასხვა სახის ტრანსფერს. ტრანსფერებში გათვალისწინებულია მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად – 250000,00 ლარი და საქართველოს მთავრობის 2019 წლის 18 იანვრის №13 განკარგულებით, „ზოგიერთი მუნიციპალიტეტისათვის უფლებამოსილებების ხელშეკრულების საფუძველზე დელეგირების შესახებ“ გამოყოფილი ტრანსფერი – 2 335 759,00 ლარი. საქართველოს მთავრობის 2018 წლის 31 იანვრის №2577 განკარგულებით საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან გამოყოფილი ტრანსფერი – 5,103,371.0 ლარი, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 22 იანვრის №45 განკარგულებით სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში გამოყოფილი ტრანსფერი – 1 232 000,00 ლარი, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 15 მარტის № 554 განკარგულებით „ჯანმრთელობის უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფის ხელშეწყობის მიზნით საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან მუნიციპალიტეტებისათვის თანხის გამოყოფის შესახებ“ გამოყოფილი თანხა –478,644.00 ლარი.

2019 წლის 1 იანვრის მდგომარეობით ნაშთი შეადგენდა 8220702,83 ლარს, აქედან ეროვნულ ხაზინაში დაბრუნებული იქნა 17554,47 ლარი, მათ შორის 7622,47 ლარი მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად, 9932,00 ლარი საქართველოს მთავრობის 2017 წლის 14,03, №420 განკარგულების ნაშთი(სოფ.იმირის სასმელის წყლის და სატუმბო სადგურის მშენებლობის სამუშაოებიდან დარჩენილი ეკონომია). დარჩენილი 8203148,36 ლარიდან 6669624,48 ლარი არის ადგილობრივი სახსრების ნაშთი, ხოლო 1 533 523,88 ლარი ტრანსფერის ნაშთი, მათ შორის: 100 129,00 ლარი საქართველოს მთავრობის 2017 წლის 14 მარტის №480 განკარგულებით გამოყოფილი თანხიდან (სასწრაფოს შენობის მშენებლობა), 30 991.41 ლარი საქართველოს მთავრობის 2016 წლის 19 თებერვლის №265 განკარგულებით გამოყოფილი თანხიდან (სოფლის პროექტები), 7060 ლარი საქართველოს მთავრობის 2014 წლის 13 იანვრის №34 განკარგულებით გამოყოფილი თანხიდან (სოფ.შაუმიანის ხიდის მშენებლობა), 1 395 343 ლარი საქართველოს მთავრობის 2018 წლის 18 იანვრის №136 განკარგულებით გამოყოფილი თანხიდან (სოფ.სადახლოს, აღმამედლოს, კირაჩ-მულანლოს სასმელი წყალი, მდ.დებედას ნაპირსამაგრი და ძეგლი „კიდევაც დაიზრდებიან“ პროექტების ნაშთი).

რაც შეეხება 2019 წლის ექვსი თვის ფაქტიურ შემოსავლებს:

სულ შემოსულობები ექვსი თვის გეგმით გათვალისწინებული იყო 21 159 383, 30 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შემოსულობებმა შეადგინა 15 427 243,38 ლარი, რაც გეგმის 72.91 %-ია. შემოსავლები დაგეგმილი იყო 20 959 383, 30 ლარით, ფაქტიურად შემოსულია 15 252 461,11 ლარი, რაც გეგმის 72.78%-ია. 2019 წლის ექვსი თვის ფაქტიური შემოსავლები 48 %-ით მეტია 2018 წლის ანალოგიური პერიოდის ფაქტიურ მაჩვენებელთან. 2019 წლის გადასახადების ექვსი თვის გეგმა არის – 8 564 900,00 ლარი, ხოლო ფაქტიური შემოსავლები – 8 436 914,47 ლარი რაც გეგმის 98.51 %-ს შეადგენს, მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად – გეგმა 125 000,00 ლარი– ფაქტი 79 898,00, ანუ გეგმის 63.92 %-ი, საგანმანათლებლო ინფრასტრუქტურის განვითარებისათვის შემოსულია 44 902,00 ლარი, ხოლო მოსწავლეთა ტრანსპორტირების უზრუნველსაყოფად – 515 759,040 ლარი. კაპიტალური ტრანსფერი შემოვიდა 2 510 207,00 ლარი, რაც გეგმის 39.47%-ია. სხვა შემოსავლების 2019 წლის ექვსი თვის გეგმა იყო 3 774 330,00 ლარი, ექვსი თვის ფაქტმა შეადგინა 3 664 780,24 ლარი, რაც გეგმის 97.10 %-ია. არაფინანსური აქტივების კლება ექვსი თვის გეგმით გათვალისწინებული იყო 200 000,00 ლარი, ფაქტმა შეადგინა– 174 782,27 ლარი, ანუ გეგმის 87.40 %.

რაც შეეხება 2019 წლის ექვსი თვის ფაქტიურად გახარჯული თანხების ოდენობას, სულ შეადგენს 16 948 877,08 ლარს. აქედან ორგანიზაციული ბიუჯეტის მიხედვით:

1. წარმომადგენლობითი ორგანოს მიერ გახარჯული თანხა სულ შეადგენს 569 023,80 ლარს, რომელიც გაწეულია შემდეგი გადასახადების დასაფარავად: შრომის ანაზღაურებაზე 309 716,08 ლარი, საქონელი და მომსახურების მუხლით 182 436,72 ლარი, სხვა ხარჯების მუხლით 74 728,00 ლარი, არაფინანსური აქტივების ზრდა 2143,00 ლარი.
2. აღმასრულებელი ორგანოს მიერ გახარჯული თანხა სულ შეადგენს 2 079 295,19 ლარს, რომელიც გაწეულია შემდეგი გადასახადების დასაფარავად: შრომის ანაზღაურებაზე – 1 248 920,80 ლარი, საქონელი და მომსახურების მუხლით 607 498,40 ლარი, გრანტების მუხლით 45 000 ლარი, სოციალური უზრუნველყოფის მუხლით 38 146,93 ლარი, სხვა ხარჯების მუხლით 3 910,00 ლარი, ხოლო არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლით 135 819,06 ლარი, აქედან 16 656,00 ლარი კაპიტალური ტრანსფერის ფარგლებში.
3. სარეზერვო ფონდიდან გახარჯული 29 691,50 ლარი გაწეულია საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის 67-ე მუხლის შესაბამისად გაუთვალისწინებელი ხარჯების დასაფარავად. (დანართი №3 შესაბამისად).
4. წინა პერიოდში წარმოქმნილ ვალდებულებებზე გახარჯულია 100 579,00 ლარი, რომელიც წარმოადგენს აღებული სესხების ძირის დაფარვას.
5. ვალთან დაკავშირებული ოპერაციის მუხლით გაწეული ხარჯი არის 29 290,00 ლარი რომელიც შეადგენს აღებული სესხების პროცენტის დაფარვას.
6. სამხედრო აღრიცხვისა და გაწვევის სამსახურის ხარჯი შეადგენს სულ 95 149,80 ლარს, რომელიც შედგება შემდეგი ხარჯებისაგან: შრომის ანაზღაურება – 73 005,00 ლარი, საქონელი და მომსახურების მუხლით 16 176,15 ლარი, სოციალური უზრუნველყოფის მუხლით 5968,65 ლარი.
7. ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაციის ხარჯებზე სულ გახარჯულია 9 516 713,57 ლარი. აქედან:

7.1 გზებისა და ხიდების მშენებლობაზე, რეკონსტრუქციისა და მოვლა-შენახვაზე სულ გახარჯულია 2 175 358,70 ლარი, აქედან ადგილობრივი სახსრების ფარგლებში – 1 213 585,70 ლარი, კაპიტალური ტრანსფერების ფარგლებში 961 773,00 ლარი.

7.2 წყლის სისტემების რეაბილიტაციასა და ექსპლოატაციაზე გახარჯულია 2 707 826,16 ლარი, აქედან, შპს „მარნეულის სოფწყალი“ სუბსიდიის სახით დაფინანსებულია 952 047,59 ლარით, რეაბილიტაციაზე ადგილობრივი სახსრების ფარგლებში – 843 372,89 ლარი, კაპიტალური ტრანსფერების ფარგლებში 911 863,00 ლარი, ხოლო 2019 წლის ექვსი თვის განმავლობაში შპს „მარნეულის სოფწყალი“-ს საკუთარი შემოსავლები შეადგენს 195 970,13 ლარს.

7.3 სარწყავი არხებისა და ნაპირსამაგრი ნაგებობების მოწყობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია დაფინანსებულია 1 527 270,48 ლარით. აქედან 897 172,0 ლარი კაპიტალური ტრანსფერების ფარგლებში.

7.4 საკანალიზაციო სისტემების მოწყობა-რეაბილიტაცია და ექსპლოატაციის ხარჯებზე გახარჯულია სულ 19 384,45 ლარი.

7.5 მრავალსართულიანი საცხოვრებელი კორპუსების მოწყობაზე გახარჯულია 46 010,67 ლარი.

7.6 გარე განათების რეაბილიტაციისა და ექსპლოატაციის სფეროდან ელექტრო-ენერჯის ღირებულებაზე და მოვლა-შენახვაზე გახარჯულია 496 522,46 ლარი.

7.7 მუნიციპალიტეტის გარემოს დაცვით ღონისძიებებზე სულ გახარჯულია 932 210,16 ლარი, აქედან შპს „ორგანული ნარჩენების გადამამუშავებელი საწარმოს“ სუბსიდირება შეადგენს 73 463,60 ლარს, საკუთარი შემოსავლები 15,515.47 ლარი, ხოლო ა(ა)იპ „სუფთა მარნეულის“ სუბსიდირება – 746 365.76 ლარს, ხოლო 99 780,80 ლარი გახარჯულია ნაგვისა და ნარჩენების კონტეინერების შესაძენად.

7.8 სასაფლაოებისა და სარიტუალო სახლების მოწყობასა და რეაბილიტაციაზე გახარჯულია 28 551,16 ლარი.

7.9 სკვერებისა და პარკების გაშენება-რეკონსტრუქციის, ქალაქის გამწვანებისა და მოვლა-პატრონობის ღონისძიების ხარჯი შეადგენს 527 571,98 ლარს. აქედან 157 646,00 ლარი არის კაპიტალური ტრანსფერი.

7.10 მარნეულის მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული შპს „მარნეულის მუნიციპალიტეტის ავტოპარკზე“ გადარიცხულია სუბსიდიის სახით 264 536,39 ლარი, ხოლო საკუთარი შემოსავლები შეადგენს 213,607.87 ლარს.

8. სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში განხორციელებული ღონისძიებების ხარჯია 791 470,96 ლარი.

9. საგანმანათლებლო ღონისძიებებზე სულ გახარჯულია 1 736 658,24 ლარი, აქედან:

9.1. სკოლამდელი აღზრდის დაფინანსება შეადგენს 1 206 994,45 ლარს, ხოლო საბავშვო ბაღების რეაბილიტაცია და მშენებლობაზე გახარჯულია – 211 896,96 ლარი.

9.2. ზოგადი განათლების ხელშეწყობის მიზნით გახარჯულია 317 766,83 ლარი, აქედან საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან ჩამოსული მასწავლებლების ხარჯებისთვის 43 800,00 ლარი, 255,179.83 ლარი გახარჯულია მოსწავლეთა ტრანსპორტირების მიზნით – დელეგირებული უფლებამოსილების ფარგლებში, ხოლო საგანმანათლებლო ინფრასტრუქტურის განვითარებისათვის – 18 387,00 ლარი.

10. სპორტის განვითარების ხელშეწყობაზე 2019 წლის ექვს თვეში სულ გახარჯული იქნა 524 915,02 ლარი, აქედან სპორტსკოლა სუბსიდიის სახით დაფინანსდა 606 752,63 ლარით, სპორტული მოედნების მშენებლობა და რეაბილიტაცია – 510 592,02 ლარით, ხოლო სპორტული ღონისძიებები – 14 323 ლარით.
11. კულტურული განვითარების ხელშეწყობაზე სულ გახარჯული იქნა 493 920,54 ლარი, აქედან კულტურული ღონისძიებებისათვის 63 207,87 ლარი, კულტურის ცენტრის დაფინანსებაზე 430 712,67 ლარი.
12. რელიგიურ და სხვა სახის საზოგადოებრივ მომსახურებაზე – 352 719,01 ლარი.
13. 2019 წლის ექვს თვეში საზოგადოებრივი ჯანდაცვის პროგრამების დაფინანსებაზე გახარჯულია 827 350,28 ლარი. აქედან ა(ა)იპ მარნეულის მუნიციპალიტეტის დაავადებათა კონტროლისა და საზ. ჯანდაცვის ცენტრი დაფინანსდა 85 184,49 ლარით. ავადმყოფთა სოციალური დაცვის მუხლით – 560 904,19 ლარი, საიდანაც 17296,00 ლარი არის სარეზერვო ფონდიდან დაფინანსებული, ოჯახების და ბავშვების სოციალური დაცვის მუხლით გახარჯულია 180 011,60 ლარი, აქედან 17612,5 ლარი სარეზერვო ფონდის დაფინანსებით, ხოლო ვეტერანთა დაკრძალვის ხარჯების მუხლით გახარჯულია 1 250 ლარი.